

საპროლეტარული სპორტის კომიტეტი და საპროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტი და პროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

16 ივლისი, ხუთშაბათი, 1987 წ. № 137 (9548) • ზანი 8 კაპა. გავიდა 1934 წლის 13 აპრილიდან

„სპორტული ნათლობა“ გადამდო

საპროლეტარული სპორტის კომიტეტი და საპროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

საპროლეტარული სპორტის კომიტეტი და საპროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტი



სპორტული ნათლობა

მართალია, არავინ იცის რა მოხდება მომავალში, მაგრამ ჩვენ სპეციალისტთა აზრს ვითვალისწინებთ, თანაც ამკარაა, რომ ჩვენი წყალმობილობის სპორტული სპეციალისტთა მხარეზეა დადგენილი...

რეზიმი იმედი გააძლიერებს — სამივემ ისე იასპარეზა, როგორც სპორტის ოსტატს შეეფერება. ნორმატივი შეასრულა, იმიტომ ვერ ვწევთ, რომ შევხებრებამ სათანადო კვალიფიკაციის არბიტრები არ ემსახურებოდნენ და სპორტსმენებს ეს შედეგები არ ჩაეთვალათ.

იველი სვალის



დაიწყო სპორტკლუბების მოწვევით პირველი საკავშირო თამაშები, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს ეძღვნება. როგორ ემზადდებოდნენ სპორტკლუბები ამ დღესასწაულისათვის, ჩვენი სპორტის რეჟისორების ამ დიდი დათვალვებისთვის?

— ვფიქრობ, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში ამ კომპლექსურ შეჯიბრებას. ღონისძიების ჩატარების იდეა რომ ჰქონდა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლებს გაცნობის და ახალგაზრდებთან მომუშავე მწვრთნელთა საქმიანობის შედეგების ღრმა ანალიზის სურვილმა დაბადა. ამ შეჯიბრებებში უნდა გამოვავლინოთ ის პერსპექტიული სპორტსმენები, რომელთაც უახლოეს მომავალში სამშობლოს სპორტული დირსების დაცვა მოუწევთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებებში.

აქვარაპ საპროლეტარული სპორტი

საპროლეტარული სპორტის კომიტეტი და საპროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტი



სპორტული ნათლობა

სპორტული ნათლობის კონცეფცია

სპორტული ნათლობა

სპორტული ნათლობის კონცეფცია

თამაშავისთვის ემზადდებიან



სპორტული სკოლების მოწვევით საკავშირო თამაშებში სამხისტი და ფრენბურთელი ვალები თბილისში იასპარეზებენ, ამიტომაც შეჯიბრების წინა შეკრებაზე ისინი დედაქალაქში იმყოფებიან.


ფინიშის მოახლოვდა

ზაბრედი. სტუდენტთა ზაფხულის მსოფლიო თამაშები ფინიშს უახლოვდება. კვირას მძლეოსანთა ტურნირის ბოლო მედლები გათამაშდება. არადა გუშინწინ ზაგრებს აფრიკის კიდევ ორი ქვეყნის (ბურუნდისა და სიერა ლეონე) მძლეოსნები ესტუმრნენ. ამაზე სწორედ ნათქვამი: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მედალი დაწვინთ ასპარეზობაში (გუნდური გამარჯვებისათვის) იტალიის ნაკრებს ერგო. საბჭოთა ფრენბურთელმა ვალებმა სამხრეთ კორეის გუნდი დაამარცხეს — 3:0 და ჯგუფში იუგოსლავიის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს. ქალთა კოლექტივმა კი კანადის გუნდს მოუგო — 3:1.

ინფორმაციური პროგრამის საქმიანობა. პროპაგანდის რა და როგორ? ოპტიმისტური რისკი

საპროლეტარული სპორტის კომიტეტი და საპროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტი



ფარინაობა ცამეტი წლისამ დაიწყო. დღევანდელი საზომებით მის წვრთნას არც ერთი გამჭრიახი მწვრთნელი არ მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ ბიჭიკო მესამეა ჯობია. ახლა ძნელი ამტკიცოთ თავიდანვე აღმოაჩინა თუ არა მან ამ საშუალო ტანის, თითქმის „არასპორტული“ აღნაგობის მჭონე ყმა-წვილში მომავალი ჩემპიონი. ფაქტია, რომ ნუგზარ ასათიანი თავიდანვე ისეთი მწვრთნელი ხელში მოხვდა, რომელიც ირწმუნა მისი. ყველაზე ადრე მიდიოდა დარბაზში. დეიდამისი მიერ ლამაზად შეკერილი ჩანთიდან გაკრძალებულ ესპანდროს ამოიღებდა და იწყებოდა შრომა. შრომა ქანცის გაწყვეტამდე. უკანასკნელი ის გადიოდა დარბაზიდან, ამგვარ გულმოდგინებას არ შეიძლებოდა შედგო არ გამოეღო.

1953 წელს თექვსმეტი წლის ყმაწვილ თბილისის ჩემპიონი გახდა და მშინ ფარინაობაში, საქართველოს პირველობა ხმით და რაპირით ფარინაობაშიც მოიგო. არც ერთ ქართველ მუშავეტერს, ყველაზე ნიჭიერსაც კი, არასოდეს რგებია ამგვარი წარმატება. მომდევნო წლებში ნუგზარ ასათიანი უკვე ქაბუკეთა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობს. 1954 წელს II საპრიზო ადგილი დაიკავა, 1955 წელს კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

ქაბუკეთა შეჯიბრებებში მიღწეული წარმატებების შემდეგ თითქმის ხუთი წლის განმავლობაში მას ადარც ერთი ტურნირი არ მოუვია. ბევრი სახეობის შეცვლას ურჩევდა: ნავა-რჩიშვილი ბიჭი ხარ, სპორტის სხვა სახეობაში სცადე ძალიან — ეუბნებოდნენ. ზოგჯერ თავადაც უფიქრია, იჭრება მართლა ასე სჯობდესო, მაგრამ მეორე დღეს მაინც პირველი მიაშურებდა ბილიკს.

რისი ბრალი იყო ეს? სიჯიუტის, სიმართლისათვის თვალის არიდების, თუ ჩემპიონის ხასიათის? სჯეროდა მწვრთნელს, სჯეროდა მეგობრებს, რომ დიდი შრომა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებდა. მტკიცე ნებისყოფა და რწმენა, ურთმლისობა ჩემპიონი ვერ გახდები, ყოველთვის იყო ნუგზარ ასათიანის ბრწყინვალე წარმატებების საფუძველი საფუძველი. ასეთი ვერ გახდები, ასეთად უნდა დიბადო.

მოგვიანებით, როცა ნუგზარმა ქვეყნის ნაკრებში მოიკიდა ფეხი, ერთ-ერთ საკავშირო ტურნირში ახალბედა მოფარიაკე უიქელ სიტუაციაში 1:4-ზე აგებდა ბრძოლას საბჭოთა ფარინაობის აღიარებულ ლიდერთან იაკობ რილსისთან, მაგრამ ნუგზარმა ეს პაქობა თავის სასარგებლოდ, 5:4 დაამთავრა. მაშინ იყო დავით ტიშლერმა აღტაცება რომ ვერ დამალა და გაოცებულმა წამოიძახა: «У этого парня нет нервов. Он из железа», ასე შეარქვეს ქართველ მუშავეტერს „რკინის ნუგზარი“. ქაბუკობაში შერქმეული მეტსახელი ასათიანმა ბოლომდე დირესულად ატარა. მისი სპორტული ბიოგრაფია ამის თავდები.

დამქანცველი იყო ყოველდღიური ვარჯიში. და აი, 60-იანი წლების დასაწყისში თითქმის უშედეგო ვარჯიშმა ერთბაშად გამოიღო ნაყოფი და ნუგზარ ასათიანის სპორტულმა შედეგებმა თავბრუდამხვევი სისწრაფით იწყა ზრდა.

1960 წელი „ბურევესტნიკის“ ესპანდრონისტა ნაკრები, რომლის ღირსებასაც სახვამე, მელნიკოვი, ჩერაბოვსკი და ასათიანი იცავდნენ, ფინალში ცსკა-ს ნაკრებს ხედებოდა. ტიშლერი, კუზნეცოვი, რაკი-

ტა, მავლიხანოვი — აი, ვისთან უნდა გადაეჯიბებინა იარაღი ფაქტიურად საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეზლემედადგელობით დაკომპლექტებულ „ბურევესტნიკს“.

ძნელია რომელიმე სპორტსმენს დაუჯარგო ამავი, მაგრამ ის გუნდური მატჩი ნუგზარ ასათიანმა მართლმით მან რიგრიგობით დაამარცხა ტიშლერი, რაკიტი, კუზნეცოვი და როცა ანგარიში 8:7 გახდა ცსკა-ს სასარგებლოდ, გადაწყვეტი ბრძოლა მოუგო მავლიხანოვს — 5:2. 5:3-ის შემთხვევაში ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით ჩემპიონი ცსკა გახდებოდა.

აქვს. სულ სხვაა გუნდური ასპარეზობა. თუ კოლექტივი ერთ მუშადა არ არის შეკრული, ძნელია გამარჯვებაზე ფიქრი, მაგრამ ზოგჯერ გუნდი ვერ პოულობს თავის თავს, ბრძოლას ბრძოლაზე აგებენ გამობრძმედილი სპორტსმენები. სწორედ ამ დროს სჭირდება გუნდს ლიდერი, რომელიც მას გაუძღვება, გამარჯვებით გაამხნეებს თანაგუნდელებს.

ნუგზარ ასათიანი ყოველთვის ასეთი წინამძღოლი იყო პარტნიორებისთვის. მასზე არ მოქმედებდა არც თანაგუნდელთა მარცხი,

უბრუნდა სიმტკიცე, საკუთარი ძალებისადმი რწმენა... და აი, თავის ვირტუოზულ ტექნიკას უჩვენებს მავლიხანოვი, აკადემიური სტილით იგებს ორთაბრძოლას რილსკი, 5:0 — ასე ამთავრებს პაქობას რაკიტა, მეორე ფინალურ ბრძოლას იგებს ასათიანი. ანგარიში ჯერ თანაბრდება, ჩერკი კი ჩვენი ნაკრების სასარგებლოდ იწყებს ზრდას, მაგრამ იტალიელები არ აპირებენ ფარ-ხმალის დაყრას.

დავბა ამ დამბული ასპარეზობის კულმინაციური მომენტი. საბჭოთა ნაკრები წინაა — 8:7. უკან

მუშაობდა მთხმენა, ნიჭიერი და გაისწორა ხელთათმანი და... მისმა გამარჯვებულმა მიმავლად, რომ მქმდეტი დარბაზი ჩემი იქნებოდა. თვალეში სასოწარკვეთილად ამოვიციტებე, თქვა ჩვეთთან საუბრისას ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

დარბაზი წამით გაირინდა, მერე კვლავ აგუგუნდა... გამარჯვებულს ლიმილი უცისკროვნება სიხეს. პაერში ასოლოლ ესპანდროს ცრემლები მოჰყვა — ბედნიერების ცრემლები.

იმ დღეს პირველად ნახეს მეგობრებმა აცრემლებული „რკინის ნუგზარი“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ნუგზარ ასათიანი დღესაც ერთადერთი ქართველი მუშავეტერია, ვინც ოლიმპიური მწვერვალის დაპყრობა შეძლო.

1965 წელს ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ხუთწლიანი წარუმატებლობა — პარიზის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ტოკიოს „ოქროს გუნდმა“ წინა წლებში მოთხოვნილი ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით შეცვალა. ნუგზარ ასათიანი პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ფარინაობაში.

დავბა 1966 წელი: იმ წელს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიუხედავად ნუგზარი არ აპირებდა, რადგან... საქორწინო მოგზაურობისათვის ემზადებოდა, მაგრამ, როცა ლენინგრადისაკენ მიმავალი მატარებელი როსტოვში გაჩერდა, გულმა არ მოუთმინა და იმ დარბაზს მიმუშრა, სადაც შეჯიბრება ტარდებოდა. მატარებელმა გზა განაგრძო, ახალდაქორწინებულები კი როსტოვში დარჩნენ. ორი დღის შემდეგ ესპანდრონისტა მთელი არმია აცოცხლდა საბჭოთა კავშირის თასის ახალ მფლობელს და მის მეუღლეს ლენინგრადისაკენ.

1968 წელს ნუგზარმა მეოთხედ დაისაკუთრა საბჭოთა კავშირის თასი. არც მანამდე და არც შემდეგ მსგავსი წარმატება არც ერთ საბჭოთა მოფარიაკეს არ მოუპოვებია.


70-იანი წლების დასაწყისში დეტევა ნუგზარ ასათიანმა დიდი სპორტი და მას შემდეგ მოაკლდა ქართულ ფარინაობას დიდება და სახელი. თურმე „რკინის ნუგზარი“ ყოფილა უკანასკნელი მოპიკანი ქართველ მუშავეტერთა იმ თაობისა, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ქართულ საფარიაკო სკოლას. მშემე გოგელების, მორის სახვამის, იური ოსიპოვის, ნუგზარ ასათიანის, გურამ კოსტავას, რეზო ციხეკიძისა და სხვათა ადგილი წლების მანძილზე შეუცვლებელი რჩებოდა ქართულ ფარინაობაში.

მზარამ ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო, და როცა რომელიმე რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრების ინფორმატორი აცხადებს: „ბრძოლა მოიგო ნუგზარ ასათიანი“ ან „ბილიკზე ვიწვევთ ნიკა ასათიანს“, მამას გული სიამაყით ეგვება, იმედი აქვს, რომ ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კვლავ ავა ნუგზარი ან ნიკა, მისთვის სულ ერთია, ორივე რომ მისი საქმის გამარჯვებულები არიან, ორივე ასათიანთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი.

გუარამ გუარამია.

ქნელი იყო პირველი, მით უმეტეს ერთადერთი. ყველა საქმეში ძნელია, განსაკუთრებით სპორტში. გზის გამკვლევს მხრებზე აწვება დიდი სიმძიმე — პასუხისმგებლობა. ბევრი ვერ უძლებს ამგვარ დატვირთვას, ნადრევადა ტოვებს ასპარეზს. რამდენ თვითნაბადი ტლანტის მქონეს წაუფორბილება, მწვერვალის მისადგომებთან შეჩერებულია, ფორტუნის ნაბოძები შესაძლებლობა ვერ გამოუყენებია. დიახ, პირველობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ჩემპიონებად არ იბადებიანო, ამბობენ. ნუგზარ ასათიანი ჩემპიონად დაიბადა! იშვიათია სპორტსმენი, ვისაც ამდენი წინააღმდეგობა შეხვედრია და მაინც ასულა მწვერვალზე.

„რკინის ნუგზარი“



ასათიანმა ფერორი მოახდინა, მიდენად შთამბეჭდავი, რომ იგი თითქმის ყველასათვის უცნობი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში ჩარიცხეს და რომის ოლიმპიადზე ჩვენი ქვეყნის სახელის დაცვა მიხადეს, მაგრამ რომში არ გაუმართლა საბჭოთა ნაკრებს. მეოთხედფინალში ჩვენი მუშავეტერები აშშ-ის ძლიერ გუნდთან დამარცხდნენ და ფინალში თამაშის ბრძოლას გამოეთიშნენ, მაგრამ ამ წარუმატებლობას არ გაუტეხია „რკინის ნუგზარი“.

1961 წელს ლენინგრადში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდება. 1962 წელს ოდესაში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში კვლავ პირველია. ამის შემდეგ აღარავის შეჰპარვია ეპვი იმაში, რომ ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი საგზური ასათიანისთვის იყო დაჯავშნული.

საბჭოთა კავშირის ესპანდრონისტა ნაკრები ოლიმპიადის მიწურულს ჩაება მედლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის სპორტულ დელეგაციას ამ დროისათვის უკვე განაღებულ ჰქონდა გუნდური პირველი ადგილი, მაგრამ ყველა ბოლო აკორდის აღებას ელოდა, სჯეროდათ, რომ ეს აკორდი მაჟორული იქნებოდა.

როცა სპორტსმენი პირად პირველობაში ასპარეზობს, იგი მხოლოდ ინდივიდუალურ შედეგზე ფიქრობს და ფსიქოლოგიური კომპლექსი თანაგუნდელების წინაშე პასუხისმგებლობისა, მოხსნალი

არც დარბაზის ყრუ გუგუნი, არც მსავთა მიუტეველები შეცდომები. ტოკიოს ოლიმპიადზე საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი იაკობ რილსკი და ახალგაზრდები უმარ მავლიხანოვი, მარკ რაკიტა და ნუგზარ ასათიანი.

ფინალში გასვლა არ გასჭირვებიათ. ზედიზედ დაამარცხეს უნგრეთის, აშშ-ის და პოლონეთის ძლიერი გუნდები და ფინალში იტალიის ნაკრებს შეებრძოლნენ.

იტალიის ესპანდრონისტა ნაკრები იმ დროისათვის თითქმის ყველა უმაღლეს ტიტულს ელოდა და მასთან გამარჯვების მოსალოცებლად მთელი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალების მობილიზება იყო საჭირო.

სათქმელად ადვილია „საჭირო იყო“. პროექტორებით გააჩრადებულ დარბაზს უზარულში ელავდა საფარიაკო ბილიკი. იტალიელი ტურისტები და იაბონელი გულშემატკივრები ისე მხურვალედ უმერდნენ მხარს იტალიელთა ნაკრებს, რომ ყველაზე ნაცადი და გამობრძმედილი სპორტსმენი კი დაიბნეოდა.

პირველი ბრძოლა რილსკიმ წაატო, მერე მავლიხანოვმა და რაკიტა და ასპარეზობის დაწყებიდან ოცდამდე წუთის შემდეგ ანგარიში 3:0 იყო იტალიელთა სასარგებლოდ.

პირველი ბრძოლა ნუგზარმა მოიგო, გაჭირვებით, შინაგანი ძალების უქიდურეს დახმავით, მაგრამ მაინც მოიგო. ეს ორთაბრძოლა გადამწყვეტი აღმოჩნდა. გუნდს და-

დარჩა მელვარებთა და დრამატრზმით აღსავსე ბრძოლები, ერთადერთი, გადამწყვეტი ბრძოლა დარჩა მოსაგები. იტალიელები გამარჯვების შემთხვევაში ოლიმპიური ჩემპიონები ხდებიან, რადგან ჩხვლეტების უკეთესი შეფარდება აქვთ. თითქმის 1960 წლის საკავშირო ფინალი მეორედბო, ყველაფერი დაემთხვა ერთმანეთს, ოღონდ აქ ჯილდო ოლიმპიური ოქროს მედლებია, საფარიაკო ბილიკებზე კი ნუგზარ ასათიანის წინაშე მავლიხანოვის ნაცვლად იტალიელთა გუნდის კაპიტანი, გამოცდილი სპორტსმენი რიკარდო კალანჩინი დგას.

ეს ბრძოლა რომ მისი „ცხოვრების ბრძოლა“ იყო, კარგად იცოდა ნუგზარმა. ისიც იცოდა, რომ სპორტულმა ბედმა პირველად და შეიძლება უკანასკნელადც მისცა უმაღლეს მწვერვალზე ასვლის შესაძლებლობა, რომ მის გამარჯვებას ელოდნენ ახლობლები, მეგობრები, მთელი საქართველო, ელოდა დედია ქეთო, მარტო რომ დარჩა თბილისში. ნუგზარს უფლება არ ჰქონდა ეს ბრძოლა წაეგო.

ასე გააფთრებთ და... ცივი გონებით ნუგზარს არასოდეს უბრძოლია. თანაგუნდელეში გაკვირვებულ იყვნენ: ტიშლერის აკადემიური სიხუსტით იღებდა ფარვას, ხოლო შეტევა... მისი შეტევა არასდროს არ ჰგავდა. ეს იყო ასათიანის შეტევა, ეფვისებური და მოქნილი, გონზე მოსვლას რომ არ აცდიდა მეტოქეს.

როცა ანგარიში 4:3 გახდა ნუგზარის სასარგებლოდ, იტალიელმა


საბავშვო გადიდან იწყება კაკუბი აბაყოზდნენ


„მნიარული სტარბაში“ — ასე ერქვა ბავაზალების აღსაზრდელთა შეჯიბრებას, რომელიც თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა თელავის სპორტული თამაშების სკოლაში. თერთმეტი ბავაზაღის უფროსი ასაკის 150 ბავშვმა მიიღო მასში მონაწილეობა. ლამაზ სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა პატარებმა შესანიშნავი ფიზიკური მომზადება უჩვენეს. მაყურებელთა შორის (ათი დღის განმავლობაში 12 ათასამდე გულშემატკივარი დესწრო შეჯიბრებას) ისინი განათლების განყოფილების, რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების და სპორტკომიტეტის წარმომადგენლები. სწორედ ისინი იყვნენ პატარების ოსტატობის შემფასებელი ჟიურის წევრები, შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს

იმისათვის, რომ ბავშვებისთვის ნამდვილი სპორტული ზეიმი მოეწყობოთ. ყველაზე მსურველი გულშემატკივრები მაინც ბებიები და პაპები იყვნენ. ისინი მტკივნეულად განიცდიდნენ შვილიშვილების წარუმატებლობას, შემახილებით ამხნივებდნენ, გამარჯვებულს კი სიამაყით გულში იკრავდნენ. პირველ დღეებში შეჯიბრების ორგანიზატორებს (სპორტკომიტეტი, განათლების განყოფილება, კომკავშირის რაიკომი) ცოტა გაუჭირდათ — ასეთი შეჯიბრება ხომ პირველად მოეწყო. მაგრამ მომდევნო დღეებში მათ გაითვალისწინეს დაშვებული შეცდომები და ასპარეზობაც ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თელავის ბაღების — № 7 „ლაზ-

ნის“ და № 9 „ციხარტყელას“ აღსაზრდელები. დრო ამოიწურა, ანგარიში კი 3:3 იყო. ამის შემდეგ სარბიელზე ფიზალზრდის მასწავლებლები გამოვიდნენ. „ციხარტყელას“ მწვრთნელი ბელა ბერძენიშვილი უფრო ზუსტად ისროდა კალათში და გამარჯვება № 9 ბაღს დარჩა (ამდგე თინა ჯაფარიძე). გამარჯვებულებს გარდამავალი თასი და I ხარისხის დიპლომები გადაეცათ. № 7 ბავაზაღის (დირექტორი ტუ-უუნა შერაზაშვილი, მწვრთნელი ნათელა მამუკლაშვილი) აღსაზრდელები II ხარისხის დიპლომებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ თელავის ბავაზაღებში ფიზიკური აღზრდის საქმე კარგადაა დაყენებული.

ალექსანდრა პაპოშვილი.





იდეო სპორტის

დასასრული

სტიქიურმა უბედურებამ, რომელიც წლეულს ჩვენს რესპუბლიკას დაატყდა თავს, მართლაც მატერიალური ზარალი არ მოგვყვნა, მან ადამიანებიც იმსხვერპლა. ამით გამოწვეული ტკივილი დღემდე გვახსენებს თავს. თამაშების მზადებაში პერიოდში, ალბათ, ამ გარემოებას მხედველობაში მიიღებდნენ და გარკვეული სიძნელეები წამოიჭრებოდა. ნუთუ არ დაახვია საკითხი თამაშების სხვა რესპუბლიკაში გადატანის შესახებ? მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ქალაქი, რომელსაც ასპარეზობისთვის მასპინძლობა უნდა გაეწია, სერიოზულად დააზარალა წყალდიდობამ.

რომადღაც გეტყვი: ასეთი კითხვა არც წამოჭრილა. დარწმუნებული ვარ, უკანდახევას თვით დაზარალებული რაიონების მკვიდრნი არ გვაპატიებდნენ. თამაშების ჩატარებაზე უარის თქმა სტიქიასთან ბრძოლაში დამარცხება იქნებოდა, რაც ჩრდილს მიუყენებდა ჩვენი ხალხის სიმამაცესა და სიმტკიცეს, ასე რომ, თამაშებისთვის მზადება იმ ქალაქებშიც გასტოვებული მიმდინარეობს, სადაც სტიქიამ ბოროტი კვალი დატოვა. ხომში და ფოთში ათასამდე სტუმრისა და შეჯიბრების მონაწილის სამსპინძლოდ ემზადებიან. აქ გაიმართება შეჯიბრებები ცურვასა და აფროსნობაში. დღეს უკვე გულდაჩერებით შეიმძლია უთქვა, რომ ეს ტურნირები ორგანიზებულია ჩატარდება.

სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი

ალდგენის საქმეში დიდი ზარალი გაგვიწია სსრ კავშირის სასპორტკომიტეტმა, რომელმაც სპორტული ბანების კეთილშობილურად „სპორტლოტოს“ სახსრებიდან სამი მილიონი მანეთი გამოგვიყო.

ვრცელთა საქავშირო თამაშების ასპარეზი? თქვენს მიერ ჩამოთვლილი ქალაქებიდან რომელშია მოიპოვა თამაშების მასპინძლობის უფლება?

ჩვენ ვეცადეთ გავგეფართოებინა თამაშების ჩარჩოები, საქართველოს ყველა დიდი ქალაქისა და რაიონული ცენტრის მკვიდრისთვის მიგვეცა შეიშის მიმდინარეობისთვის თვალისდევნების საშუალება.

თამაშების ბრძოლაში სპორტის 25 სახეობა შეტანილი, ასპარეზობის დედაქალაქად კი თამაშად შეიძლება დავასახელოთ თბილისი. ტურნირების უმრავლესობა სწორედ აქ ჩატარდება. ქალაქის საუკეთესო სპორტული ბანები მძლეოსნების, ფეხბურთელების, ველოსიპედისტების (საჯატკეცილო რბოლა), სამბისტების, ფრენბურთელების (ჭაბუკები), მოკლედევების (თავისუფალი და კლასიკური სტილის), ხელბურთელების, კალათბურთელების, ჩოგბურთელების და წყალში მსტომელების განაგრძელებში იქნება.

საქართველოს დედაქალაქში უკვე იასპარეზებს წყალბურთელებმა. მთავარი სტარტები კი დაგეგმილია 20 ივლისიდან 10 აგვისტომდე ჩატარდეს. სოხუმი ფრენბურთელებს (გოგონები) და მსროლელებს უმა-

სპინძლებს. ბათუმი — მხატვრული და სპორტული ტანვარჯიშის ოსტატებს. ქუთაისში მოკრივეთა და მოფარიავეთა შეჯიბრებები ჩატარდება, ცხინვალში ძალისხმევის ასპარეზებენ, ხობში — მოცურავეები, გორში — ძიულისტები, რუსთავეში — ფეხბურთელები. შეჯიბრებები აკადემიურ ნიჭოსნობაში, საბავარო ნიჭოსნობასა და კანოეში ფოთში გაიმართება; ტურნირები მავიდის ჩოგბურთში და ბალნეტოში — თელავში.

როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრები ცალკე კოლექტივად იასპარეზებს. რამ განაპირობებს სპორტსახეობის ეს გადაწყვეტილება?

დებულების თანახმად, შეჯიბრებებში გამოდის ქვეყნის სპორტსკოლის აღსაზრდელები, რომლებიც სპორტსახეობებისა და უწყებების ნაკრებ გუნდებში გაერთიანდებიან. ტერიტორიული და უწყებრივი პრინციპების გათვალისწინებით შეიქმნა ათი ასეთი ნაკრები. საქართველომ, როგორც თამაშების ორგანიზატორმა, ცალკე გუნდით გამოსვლის უფლება მიიღო. ეს კი, დაგეგმვით ალბათ, რამდენადაც საპატიოა, იმდენად საპასუხისმგებლოც. მოგეხსენებათ, საქართველოს სპორტის, რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე ბევრი პრობლემა დგას.

დღეს ჩვენ გულისტკივილი უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში რეზერვის მომზადება, ტრენინგთა გამოვლენება, ჩემპიონთა ღირსეული ცვლის აღზრდას ჯერჯერობით ვერაძღვება არ ექცეოდა. ყველა

დიდ საკავშირო შეჯიბრებაში, გენბავთ სრულ ხალხთა სპორტკაიდეში, გენბავთ მოსწავლეთა სპორტკაიდეში — თანდათან უკან ვიხევიდით, უბრძოლველად ვთმობდით ქართული სპორტის სახელოვან წარმომადგენელთა ბიერ მოპოვებულ პოზიციებს. მაგრამ ბოლო დროს მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება და ეს გვაპირებს. ყოველ შემთხვევაში, იმდენს მომცემია შარშანდელი სპორტკაიდეში შედეგები. სპორტული სკოლების მოსწავლეთა საქავშირო თამაშები სპეციალისტებს, მწვრთნელებს, სპორტის დარგის მუშაკებს ბავშვთა და მოზარდთა სპორტში არსებულ თბიქტურ სურათს გადაუშლის თვალწინ. სხვათა შორის, პროგრამის პირველმა სახეობამ მასპინძლებს პირველი წარმატება მოუტანა: საქართველომ წყალბურთულთა ნაკრებმა ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში მესამე საბრძოლო ადგილი დაიკავა. მაგრამ ჩვენ ამ თამაშების მხოლოდ შედეგები რად გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა საქართველოში გატარებული დღეები შეჯიბრებისას ყველა მონაწილეს დიდხანს დაამახსოვრდეს, რომ თამაშებმა დაახლოვოს და დამეგობროს ჩვენი მრავალრიცხოვანი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ნიჭი სპორტსმენები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შეჯიბრების მონაწილეთათვის შედგენილი კულტურული პროგრამა.

საუბარი მიჰყავდა ღამით ძაბაბაძეს („ლელოს“ კორ.)

თბილისი.

გაიმართა რეგისტრაცია საქავშირო პირველობის მე-17 ტურის შედეგები. ქუთაისის „მშენებელთა“ და თბილისის „შეგარდნი“ მეტოქეთა მოედნებზე ითამაშეს და ერთნაირი ანგარიშით — 6:10 დამარცხდნენ. ქუთაისელებმა წააგეს მოსკოვის „სლავსთან“, თბილისელებმა — ლენინგრადის „პრიმორეცთან“. ქვეყნის ჩემპიონმა — მონინოს სამხედრო-სპორტო აკადემიის გუნდმა სძლია კიევის „ავიატორს“ — 17:6 და პირველი ადგილი გაიმყვანა.

სხვა შედეგებია: შედეგები: „ფილი“ — „ელექტროში“ 19:7, „მტს“ — ასკ 18:7.

დღესათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

სხა (მონ.)	თ.	მ.	ფ.	ქ.
„ფილი“ (მ.)	17	10	4	41 (-10)
„მშენ.“ (ქ.)	17	10	4	40 (-11)
„მტს“ (ქ.)	17	11	1	5 40 (-11)
„ავ.“ (ქ.)	17	10	2	5 39 (-12)
„ასკ“ (ა-ა)	17	8	4	5 37 (-14)
„სლავა“ (მ.)	16	10	4	6 36 (-12)
„მტს“ (ქ.)	17	9	1	7 36 (-15)
„ლეოს“ (მ.)	16	8	1	7 38 (-15)
„ელმავალი“	14	4	1	7 27 (-15)
„ელ.“ (ტირ.)	17	4	1	12 26 (-25)
„პრიმ.“ (ლ.)	16	3	0	13 22 (-26)
„შეგარდ.“	17	1	0	16 19 (-32)



გათამაშების ცხრილში თბილისის „ლოკომოტივის“ ნაცვლად გამოჩნდა ახალი გუნდი — თბილისის „ელმავალი“. საქმე ისაა, რომ საქავშირო სპორტსახეობა და რეგისტრაცია უფრო მეტი მომცემია. საერთოდ, მოსკოვის ამხანაგური მატჩები იმითაც იყო გამართლებული, რომ დედაქალაქის გუნდში ჩერტანოვოვთაგან სამი ჩოგბურთელი ხვდება და ნაკრების ამ კანდიდატებთან შეხვედრებმა ბევრი რამ შეაძინა საქართველოს სპორტსკოლაში. აკლიმატიზაციისათვის და ხუთდღიანი ინტერვალის შემდეგ სრული რევენი აიღეს, შემდეგ კი მასპინძელთა მეორე გუნდსაც სძლიეს. სტუმრებმა აქვე გამოსცადეს 1974-75 წლებში დაბადებულთა ნაკრებიც, რომელიც თელავში კონკურსგარეშე გამოვა. მთლიან წარმატებები უფრო იმედის მომცემია. საერთოდ, მოსკოვის ამხანაგური მატჩები იმითაც იყო გამართლებული, რომ დედაქალაქის გუნდში ჩერტანოვოვთაგან სამი ჩოგბურთელი ხვდება და ნაკრების ამ კანდიდატებთან შეხვედრებმა ბევრი რამ შეაძინა საქართველოს სპორტსკოლაში.



იქნებ სრულიყო აქედან აღორძინდეს?

რამდენად უცნაურადაც უნდა ჩანდეს, არცთუ იშვიათად დიდ საერთაშორისო და საქავშირო სარბივლზე ერთდროულად წარმატებები დათვროს სამსახურს უწყვეტ სპორტის მასობრივ განვითარებას ჩვენში. ეს განსაკუთრებით საგრძობად და თვალში საცემია, თუ „ვარსკვლავები“ ხანგრძლივად კიადობენ. მაშინ სპორტის იმ სახეობას, რომელშიც ისინი ზედინდელ იმარჯვენებენ, ზოგჯერ ჩავარდნა ემუქრება და ხშირად მისი დონე ნულამდე დადის. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ამ გამარჯვებულს ამოფარებულ მწვრთნელთა და სპეციალისტთა შორის ერთგვარი თვითკმყოფილება დაისადგურებს, ვარსკვლავთა ბრწყინვალეობა კი დიდხანს ვერ გასწვდება ჩვენს სპორტს და სრულიად ხელმოცარულნი ვრჩებით.


ასე დაგვემართა მავიდის ჩოგბურთშიც, სადაც ერთ დროს გვეყვოდა მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა მრავალჯობი პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ცამეტჯობის ჩემპიონი სარქის სარხიანი. წავიდა ეს სპორტსმენი დიდი სპორტიდან და მავიდის ჩოგბურთში სრული „იდეალობა“ გაიფიქრა. ბოლო ხანებში საქართველოში, ვთქვათ, ჭიდაობისა და მძლეოსნობის აღორძინებას უთუოდ მდიდარმა ტრადიციამაც შეუწყო ხელი. გამონაკლისს არც მავიდის ჩოგბურთი უნდა წარმოადგენდეს, რადგან სარხიანამდეც გვეყავდა მკორე ჩოგნის ოსტატები — ირაკლი ხიმშიაშვილი, ირინე იზაშვილი, რუსუდან ხანთაძე, რომერტ კულაშ-

ორიენტირი — სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

ვილი, სვეტლანა პარფენიდი. სხვადასხვა დროს საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩაგვიტარებია და საბატიო გამარჯვებებიც მოგვიპოვებია — ვიეტნამის, ირანისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებთან. იქნებ ამ ტრადიციამ ხვალ ისევ გამოიღოს ნაყოფი, მაგრამ დღეს? — მხოლოდ მომავალს უნდა შევცქეროდეთ იმედის თვალთ. ეს მომავალი კი ის გოგონებებია თავიანთი პირველი სერიალური სტარტებისათვის რომ ემზადებიან. მათი ნამდვილი საბრძოლო ნათლობა სულ მალე შედგება თელავში, სადაც სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საქავშირო თამაშების ტურნირი უნდა გაიმართოს.

იქ ჩვენი რესპუბლიკის სახელით გამოვლენ „ლოკომოტივისა“ და თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის აღსაზრდელები — 12-13 წლის სპორტსმენები. ახლა ისინი შეჯიბრებისწინა შეკრებაზე არიან კომპლექსურულ ქალაქ ბორის ძნელაქში. ნორჩი სპორტსმენები გუნდის უფროსი მწვრთნელის ჯემალ მელაძისა და მწვრთნელის — მამუკა ბიბინაძის, ელენა კარბენკოს, სერგეი ხოლოდარის ხელმძღვანელობით ემზადებიან ამ მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის. გუნდის ძირითად ბირთვთან ერთად, რომელშიც შედიან ნინო ზარქუა, თეა კეკელია, ოლღა ჩაჩავა, აგრეთვე მერაბ კეტრევილი, სპარტაკ რობიჯიშვილი, ალიოშა ფომინოვი და ელუარდ ფრუიძე, ასპარეზო-

ბისათვის ემზადებიან 1976-78 წლებში დაბადებულნიც. ისინი თელავში კონკურსგარეშე იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში ბრძოლის გამოცდილება ჯერ არა აქვს, რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრა გამართა ერეველ, კიეველ და კრასნოდარელ



თანატოლებთან, ახლან კი გუნდი დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც, უფროსი მწვრთნელის ჯ. მელაძის აზრით, ძალზე სასარგებლო შეხვედრები მქონდა ადგილობრივ თანატოლებთან. ეს მოხდა ჩერტანოვოს სპორტსკოლის დარბაზში, რომელშიც, სხვათა შორის, ჩოგბურთის 48 მავიდა იდგა. პირველი მატჩი ჩვენებმა წააგეს — 1:8. მაგრამ პატარებს სულ რამდენიმე დღე და-

რტმენებს. მთავარი კი ის არაა, რომ ჩვენს ჩოგბურთელებს უკვე საკმაო საშეჯიბრებო გამოცდილება აქვთ და შიშის ანარ ჰგვრით მეტოქეთა მძლავრი ტიტულები. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ისეთი საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის, როგორიც სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საქავშირო თამაშებია.

უზანა ზიზინაძე.

ქალები აზარსხებენ პაპაკასებს

ლიონი. ამჯერად ქალებმა აშკარად დაჯანჯნეს ვაჟები და ცხენოსნობაში (ცხენის გაწვრთნა) ევროპის ჩემპიონატის ყველა ჯილდო დაიმსახურეს. კონტინენტის უძლიერესი მხედრისთვის დაწესებული ოქროს მედალი ფრანგმა მარჯილტო-არეპინმა მოიპოვა (1484 ქულა). გერმანიის მედალი გფრ-ის წარმომადგენელს ან-კატრინ ლინ-შენპოფს ხვდა (1423), ბრინჯაოსი — შვეიცარიელ კრისტინა შტიუ-ქელბერგს (1419).

რადაც გფრ-ის ცხენოსნებმა გამოიჩინეს (4076 ქულა), თუმცა მათი უმნიშვნელო უპირატესობა ბრძოლის მიწურულში გამოიკვეთა. შვეიცარიელი მხედარი შტიუქელბერგერი შეუპოვრად იბრძოდა, რათა თავისი გუნდი დაეწინაურებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მისი გუნდი გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზე პოლანდიელი ცხენოსნები გავიდნენ (3768). საბჭოთა ცხენოსნები ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ.

მოკლად

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში დამთავრდა კალათბურთულთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და საბჭოთა მურნიებო-ტექნიკუმების 17 გუნდი.

პირველი ადგილი მოიპოვა ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივმა, მეორე იყო თელეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი, მესამე ადგილზე გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლები გავიდნენ.

3. ნაბაიძე.

ჩონხატაური

დამთავრდა ქაბუთა რაიონული პირველობა ხელბურთში, ფრენბურთში, მშლ-ს კომპლექსის მრავალქილში და მძლეოსნობაში.

ხელბურთში გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა 81-ე პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა. ამავე სასწავლებლის ვაჟებმა ფრენბურთულ ვაჟთა ასპარეზობაში იყარაღეს. მშლ-ს მრავალქილში და მძლეოსნობაში კი ბუქისციხის საშუალო სკოლის ნაკრები იყო უძლიერესი.

დავით გურგენიძე, ჩონხატაურის რაიონის სოფელ კახნარის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

ტურნირს ტურნირი მოსდებს

კომპლექსი ვიუწყებოდა, იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა პირველი საზონათშორისი ტურნირი. XVII ტურში ქსუ-ალბურტის შეხვედრა ყამით დამთავრდა, XVII ტურის გადადებულ პარტიაში პოპოვიჩი დამარცხდა ჩერტინთან. პოპოვიჩის კიდევ ერთი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი — ზაპატასთან. XIV ტურის ეს შეხვედრა პოპოვიჩის გამარჯვებით აღინიშნა.

რამდენიმე დღეში უნგრეთში დაიწყება ვაჟთა მეორე საზონათშორისი ტურნირი, რომელშიც 18 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. საბჭოთა კავშირის სპორტულ დარგებსა. ალექსანდრე გელაგის და ვალერი სალოვი დაიცავენ.

როგორც ცნობილია, მესამე საზონათშორისი ტურნირსაც იუგოსლავია უმასპინძლებს, ამჯერად ქალაქი ზაგრები. შეჯიბრება აგვისტოში გაიმართება.

